დანართი №12
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 2 ივნისის № 655948 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში მონაწილე პროექტების დაფინანსების წესი

§1. პროექტის შეფასების წესი

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანების მე-11 მუხლით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

2. პროექტების შეფასება ხორციელდება სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 2 ივნისის № 655948 ბრძანებით დამტკიცებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პირობების მე-7 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

3. თითოეული პროექტის საბოლოო შეფასებას განსაზღვრავს ექსპერტთა ჯგუფი კონსენსუსის წესით.

§2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

1. კონკურსის ბიუჯეტი ნაწილდება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებლების მიხედვით:

სამეცნიერო მიმართულებები	პროცენტები	კონკურსის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (ლარში)
1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	23%	115 000
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები	14%	70 000
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები	14%	70 000
4. აგრარული მეცნიერებები	14%	70 000
5. სოციალური მეცნიერებები	14%	70 000
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	21%	105 000

§ 3. პროექტის დაფინანსების წესი

1. თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია[1] (ზემოდან ქვევით).

2. კონკურსით გათვალისწინებული ყველა სამეცნიერო მიმართულებების რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვევით) დაფინანსების შემდეგ, თითოეულ სამეცნიერო მიმართულებაში

[1] იხილეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის 135/ნ ბრძანების მუხლი 11-ის პუნქტი 5.

დარჩენილ თანხას ეწოდება ნაშთი, რომელიც აღარ ყოფნის რიგით მომდევნო პროექტს დასაფინანსებლად.

3. ფონდის გენერალური დირექტორის გადაწყველიტებით სამეცნიერო მიმართულებებიდან დარჩენილი ნაშთების ჯამის განაწილების შესახებ რეკომენდაციების მომზადების მიზნით იქმნება სპეციალური სათათბირო ორგანო - საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამენციერო ფონდისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან.

4. საბჭო რეკომენდაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, რომელიც ფორმდება ოქმის სახით და წარედგინება გენერალურ დირექტორს.

5. საბჭო თავისი ცოდნის, გამოცდილების, კომპეტენციისა და შეხედულების საფუძველზე:

   ა) განსაზღვრავს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებებს შორის ყველაზე პრიორიტეტულ ერთ ან რამდენიმე მიმართულებას;

   ბ) გასცემს რეკომენდაციებს ნაშთების ჯამის გადანაწილების შესახებ პრიორიტეტულად განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მიმართულებაში (რანჟირებული სიის მიხედვით).

6. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე გენერალური დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ნაშთების ჯამი გადაანაწილოს სამეცნიერო მიმართულებებს შორის (რანჟირებული სიის მიხედვით).

7. თუ რომელიმე გამარჯვებულ პროექტთან ვერ მოხერხდება ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ მის ნაცვლად დასაფინანსებელი პროექტის შერჩევა განხორციელდება საბჭოს მიერ, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი.